


საპარტიკო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

26 ნოემბერი, შაბათი, 1988 წ. № 225 (9892) © შპსი 3 პაპი. გამომდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საპარტიკო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო... სურათები: შეჯიბრების მომენტი; საქართველოს IV ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი თბილისის რაპირისტ გოგონათა გუნდი.



კალთა კონსოლიდაციის ნიშნით

მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობას განაგრძობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მინისტრებისა და ხელმძღვანელ მუშაკთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია.

ფიზიკური კულტურა და სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში იქცა აქტიურ სოციალურ სფეროდ, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადამიანთა ძალეობას და შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი დამოკიდებულება საზოგადოებრიობის მხრიდან მაქსიმალურად აღემატება უნდა იყოს. ამ მხრივ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იუნესკოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც, პირველ რიგში, ფიზიკური აღზრდის პრობლემების შემდგომ წარმოჩენას გულისხმობს. დიდი პოპულარობა მოიხვეჭა საქვეყნოდ გავრცელებულმა მოძრაობამ „სპორტი ყველასათვის“, შექმნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისია მისი პრეზიდენტის ხ. ა. სამარანჩის მეთაურობით, რომელიც გულდასმით სწავლობს და ამუშავებს საერთაშორისო ურთიერთობისა და თანამშრომლობის პროექტს. ამ პროექტის მთავარი კონცეფცია — „ადამიანები, განსაკუთრებით კი მოზარდი თათბა ფიზიკურად და მორალურად ჯანმრთელი უნდა იყვნენ“ — მთლიანად განსაზღვრავს მის მნიშვნელობასა და დანიშნულებას.

ნციებიდან გამომდინარე კონფერენციის დეკლარაციაში ბევრი რეალური და ეფექტური წინადადება წარმოადგინეს, რასაც ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. შეკრებილთა წინაშე საინტერესო მოსაზრებებით წარსდგა იუნესკოს გენერალური დირექტორი ფ. მიორი. მისი განცხადებით თანამედროვე საერთაშორისო სპორტულ მოძრაობას ბევრი რამ აქვს გადასაწყვეტი და ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ეს, პირველ ყოვლისა, მასობრივი ფიზიკური აღზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე ითქმის, არა და, ასეთი პირობები სჭირდებათ აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის განვითარებად ქვეყნებს. იგი საკვებით დაეთანხმა იმ დეკლარაციას, რომელიც სპორტში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას მოითხოვდა. ამ ბრძოლაში, იუნესკოს გენერალური დირექტორის აზრით, მთავარი მნიშვნელობა პროგრესულ ძალთა კონსოლიდაციას ენიჭება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხ. ა. სამარანჩმა მხარი დაუჭირა იუნესკოს შეკრებილთა ამ საკითხში და აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაციები (იუნესკო და სოკი) ფაქტიურად ერთსა და იმავე ამოცანებს ისახევენ მიზნად. ამიტომ მათი ურთიერთთანამშრომლობა არა თუ საჭიროა, დიდ შესაძლებლობებსაც მოიცავს. მოსკოვის ფორუმზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ბოლო ასწლეულში ჰემარიტად მასობრივ მოვლენად იქცა სპორტი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ადამიანთა ერთიანობასა და თანამშრომლობას. სწორედ ამიტომ ბევრ ქვეყანაში სერიოზულად არიან შემოფოთებული იმ ძალადობისა და სისასტიკის გამო, რაც, სამწუხაროდ, თან სდევს ამა თუ იმ სპორტულ შეჯიბრებას. ფრანგი დეკლარატის ჟან-პიერ ბილას აზრით ამ ძალადობას საქალოდ ორმა ფესვებმა აქვს და იგი ჩვენი სამყაროს, ჩვენი საზოგადოების სისასტიკით არის გამოწვეული. რასიზმიცა და შოვინიზმიც ამ ძალადობის თავისებური გამოვლენაა და ამიტომაც მათი დაგმობა წმინდა სპორტული ინტერესების ფარგლებს სცილდება. ჟან-პიერ ბილი დეკლარაციას ერთიანი მოქმედებისკენ მოუწოდა. მოსკოვის ფორუმშიც, მისი აზრით, ამ საშვილიშვილო ბრძოლის გამოვლენა გახლავთ.



„მოთხინებულნი“ ტაიჭი... ეშპარ ფუნთუშავილი

სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო... ეშპარ ფუნთუშავილი. ეშპარ ფუნთუშავილი.



ლეილა მუსხიშვილი უპლირასთა კვარტაში

მეღაზრანი. ჩოგბურთის ფედერაციის თასის გათამაშება, რომელსაც ქალთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის სტატუსი აქვს, დაიწყო ავსტრალიის ამ ქალაქში 4 დეკემბერს და ზუსტად ერთ კვირას გასტანს. საბჭოთა კავშირის ნაკრები: მინსკელი ნატალია ზვერევა, ლგოველი ლარისა საგინეკო, თბილისელი ლეილა მუსხიშვილი და მოსკოველი ევეგენია მანიუკოვა, კენჭისყრაში პირველ ნომრად არის განთესილი, რაც თავისთავად დიდი პატივია. მეორე ნომერი რეიტინგით აშშ-ს გუნდს მიეკუთვნება მის შემადგენლობაში არ გამოვლენ მარტინა ნავრატლოვა, კრის ევერტი და პამ შრაივერი. ფედერაციის თასის შარშანდელი მფლობელი გფრ-ის ნაკრები (იგი შტეფი გრაფის გარეშე იასპარეზებს) კენჭისყრაში მესამე, ჩეხოსლოვაკია კი მეოთხე ნომრით მონაწილეობდა. ეს ასპარეზობა უკვე ოცდამეხუთე იწყობა. ყველაზე მეტი გამარჯვება მოაპყებულ აქვს აშშ-ს

(თორმეტი). ავსტრალიელები „საპარტიკო პრინს შვიდჯერ ფლობდნენ. ჩეხოსლოვაკიელები კი ოთხჯერ. საბჭოთა ჩოგბურთელები პირველმატჩში იუგოსლავიელებს შეხვდებიან. იტალიისა. ბრაზილიის ამ ქალაქში დაიწყო ჩოგბურთულ ვაშთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის სტარტზე წარმატებით ითამაშა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა. პირველ პარტიაში მან ჩილეელი პედრო რომბოლედო დაამარცხა 4:6, 7:5, 7:6, მეორეში — ამერიკელი ჯიმ კურიერი 1:6, 6:0, 6:1. კანადაში. წარმატებით გამოდის აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში უეფკოროდელი ჩოგბურთელი იოსიდ კროჩკო, რომელმაც მერვედფინალში მაროკოელ პაბილ უტალესს აჯობა 4:6, 7:5, 6:3.

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიპყრობილია მსოფლიოს სპორტული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თანამედროვე მდგომარეობისადმი, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მისი განვითარების პერსპექტივებისადმი, ფიზიკურად აქტიური ცხოვრების წესისადმი. სწორედ ამ პრობლემათა დასაგვარებლად მნიშვნელოვან იქნება წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის საკითხები. ამ ბრძოლის მთავარი პრინციპი ჯანმრთელობის დაცვა გახლავთ (დობინგს, ადამიანის ორგანიზმისთვის დამსაჯებელი ზიანი მოაქვს). მეორე პრინციპია სპორტული ეთიკის და თავისუფალი და სამართლიანი შეჯიბრების კანონების დაცვა და ბოლოს მესამე — ყველა სპორტსმენისთვის ერთნაირი პირობების შექმნა. ამ პირობების

ჩემპიონობა განახლდა

განახლდა კალათბურთულ ვაშთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები. ბორჯომი (პოლონეთი). IV შესარჩევნო ჯგუფში სადაც საბჭოთა სპორტსმენებიც გამოდიან ერთმა-

ნეთს შეხვდნენ პოლონეთისა და საფრანგეთის კალათბურთელები. გამარჯვებს სტუმრებმა — 103:88. ამ ქვეჯგუფში სთამაშო დარჩა სამი მატჩი, მათ შორის ორი საბჭოთა ნაკრების მონაწილეობით (პოლონეთთან და ფინეთთან). ჯგუ-

ფში ჯერჯერობით ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები (ოთხიდან ოთხი ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან საფრანგეთის (ხუთი მატჩიდან 3 ქულა), პოლონეთის (ხუთიდან — ერთი) და ფინეთის (ოთხიდან — ერთი). პირველ ჯგუფში გამარჯობა ორი მატჩი: ჩეხოსლოვაკია — ინგლისი 107:80, პოლონია — საბერძნეთი

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის კალათბურთულ ვაშთა გუნდმა, რომელიც ტურნეს ატარებს აშშ-ში, კიდევ ორი შეხვედრა მოიგო — ოკლაჰომის შტატში იქაური უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა 80:63 (35:31). ამ შეხვედრაში მწვერტულეებმა დაასვენეს საბონისი და მარჩილიონისი. ამის მიუხედავად გუნდმა და მისმა ლეზუტანტებმა მინაეგმა და ვიტარა თავგამოდებით ითამაშეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

სხრიდან-შვილი

ბულგარეთი — 4-4 ქულა (ხუთიდან), გფრ და შვეიცია — თითო-თითო ქულა. მესამე ჯგუფი. შვეიცარია — ესპანეთი 53:130. იტალიის ნაკრებს აქვს 4 ქულა (ოთხიდან), ესპანეთს — ასევე 4 ქულა, ოღონდ ხუთი შეხვედრის შემდეგ, შვეიცარიას — 1 ქულა (ხუთიდან), უნგრეთს ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუვია.

IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები

აგას ჰჰვია ქართული სპორტის სამსახური?

ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე დამთავრდა IV ახალგაზრდული რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ბალახის ჰოკეოში.

გოგონათა ტურნირში მონაწილეობა მიიღეს აჭარის, ქუთაისის, ლანჩხუთისა და ვანის გუნდებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეჯიბრება მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — ქუთაისელმა გოგონებმა დაამარცხეს აჭარის (4:0), ლანჩხუთისა (5:0) და ვანის (6:0) გუნდები და დამარცხებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

გამარჯვებული გუნდის (მწვრთნელი ა. თედორაძე) ღირსებას იცავდნენ ი. სვანიძე, ი. ბურჯანაძე, ლ. კავთელაშვილი, მ. მახარაიშვილი, თ. ივანიშვილი, ლ. ფარცხალაძე, მ. მამარლაშვილი, ე. თორაძე, მ. დიმიტრიშვილი, ე. ხურციძე, თ. აბაშიძე, ფ. მამარლაშვილი, ნ. თედორაძე, ჯ. ცხადაძე, ხ. მელიქი და ქ. კანკაძე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ რანგის შეჯიბრების დებიუტანტების — ვანელ ბალახის ჰოკეოს ტურნირის წარმატება. სულ რამდენიმე თვეა, რაც აქ გაიხსნა სპორტის ამ სხეობაში მომეცადინეთა ჯგუფები, რომელთაც ქუთაისის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშეები დავით ძოწენიძე და ილია ყუბანაიშვილი ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ ახალბედებმა თავი არ შეიჩინებინეს, საპატიო მეორე ადგილი დაიკავეს და უფრო გამბოდით აჭარის (დაიკავეს მესამე ადგილი) და ლანჩხუთის (მეოთხე ადგილი) კოლექტივებს აჯობეს. სხვათა შორის, ვანელ გოგონებს არც ვაჟები ჩამორჩნენ.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშის და ბომბარდირის პრიზები გადაეცა გამარჯვებული გუნდის წევრს ე. კოლაძეს.

ვათა შეჯიბრებაში მონაწილეობდა შვიდი გუნდი, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ჩვენი ჰოკეოსთვის. ამჯერად ტურნირში ასპარეზობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს, ლანჩხუთისა და ვანის გუნდები.

მასპინძლები აქაც კონკურენტის გარეშე იყვნენ — ქვეჯგუფში მათ დაამარცხეს აფხაზეთის (25:0), ლანჩხუთის (9:0), ვანის (7:0) გუნდები და ფინალურ ეტაპზე ოქროს ქულით გავიდნენ. ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს თბილისელებმა, რომელთაც II ქვეჯგუფში წყალტუბოსა (3:2) და აჭარის (3:2) გუნდებს სძლიეს.

ფინალურ ტურნირში ქუთაისელებმა დაამარცხეს წყალტუბოელები — 7:0, თბილისელებმა — ვანელელები — 4:2. ბომბარდირის წოდების სურვილს ამ გუნდებმა იბრძოლეს. შეხვედრა საქმაოდ დაძაბული, საინტერესო გამოდგა. ერთი ბურთის სხვაობით, ანგარიშით 2:1 გამარჯვება ქუთაისის გუნდმა (მწვრთნელი ჯ. კერესელიძე), რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მ. ესებუა, კ. ცქიფურიშვილი, დ. გეგუაძე, კ. სვანიძე, ზვირა და გოჩა არველაძეები, დ. ცხადაძე, ა. გიგაძე, მ. კომანიძე, ა. ფურცაძე, მ. გოგოლაშვილი, გ. ჩარკვიანი, ა. ფრელიკოვი, გ. ქართველიშვილი, მ. ფულარაიანი, დ. ქარჯუა, ა. კობრეიძე.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. ქუთაისი, 2. თბილისი, 3. ვანი, 4. წყალტუბო, 5. აჭარა, 6. ლანჩხუთი, 7. აფხაზეთი.

განსაკუთრებული ყურადღება დავთმობთ იმ პრობლემებს, რომლებიც ამ ოლიმპიური სახეობის განვითარებას უშლის ხელს.

აფხაზეთის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. კარამელიმ გუნდის სტრუქტურით აღნიშნა, რომ მხოლოდ ორი თვის წინ უხმეს ავტონომიური რესპუბლიკის სპორტკომიტეტში და შეჯიბრებაზე გუნდის გაყვანა უბრძანა. მას ისედაც დარჩენოდა, რომ საჩქაროდ შეეკრიბა მეზობელი ბიჭები, შემდეგ რის ვაინარჩობით იშოვა ყვანაჩები და შეჯიბრებაზე გაემგზავრა. რა განაკვირბა, რომ ასე „მომზადებულმა“ გუნდმა რეკორდული ანგარიშებით დათმო შეხვედრები.

მართლაც პარადოქსია, რომ ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე გამოცდილი მწვრთნელი სახელმძღვანელოდ შეკრებილი მეზობლის ბიჭების იმედზე გაემგზავრება. ცხადია, ტყუილად დაინარჩა თანხები, ახალგაზრდებზე მოწყდნენ სწავლას, შრომას, უფროსი მწვრთნელის სიტყვები რომ დავიმოწმეთ — აფხაზეთის სპორტკომიტეტს ქულები უფრო აინტერესებს, ვიდრე ამ სახეობის განვითარება. არადა, აქ მწვრთნელზეც არიან და ახლო წარსულში საქმაოდ ძლიერი გუნდებიც შეკვდნენ, მაგრამ ახლა სად ივარჯიშონ, აღარ იციან. აღერ მათ „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანს უთმობდნენ, მერე იქ ავტონომიურად ვარჯიშობდნენ, ბარია აშენდა და აქ „მოღურმა“ დაწესებულებებმა მოედანიც შეიწირეს და ბალახის ჰოკეიც...

აჭარის გუნდის უფროსი მწვრთნელის ზ. მუჟაიას განცხადებით, ის იხე გაემგზავრა შეჯიბრებაზე, რომ სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან ვერ შეაღწია მიღების „მტკიცე გრაფიკის“ გამო, არადა, ბათუმელ მოკლებს იხედავს ბევრი პრობლემა აწუხებთ — აქ არ არის ფედერაცია, კითხვებზე უპასუხებელია მოედანი, არ ჰყოფნით ინვენტარი და ა. შ.


საქმე რომ არც თბილისშია უკეთესად, ეს ვაჟთა გუნდის უფროსი მწვრთნელის გ. კომალიანის განმარტავს და დადასტურებს.

დედაქალაქში მხოლოდ უმაღლესი დონის რესპუბლიკურ სკოლაშია ახანაა განხილული ერთადერთი ვაჟთა ჯგუფი, სადაც ერთდროულად ვარჯიშობენ უფროსი, საშუალო ასაკისა და დაწყებითი მოკლები. ცხადია, ასეთი „მასობრივობით“ თბილისელი მოკლები შორს ვერ წავლენ.

სამწუხაროდ, ქუთაისის ტურნირზე რამდენიმე საგანგებო შემთხვევა მოხდა. ბათუმელ გოგონათა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ზ. მუჟაიამ, როცა მისი შეგარდები ვანელებთან მარცხდებოდნენ, იმის მაგივრად, რომ შეხვედრაზე თავისი მოკლების შეცდომები გაეანალიზებინა და მატჩის გადარჩენაზე ეზარუნა, I ტაიმის შემდეგ თვითნებურად გაიყვანა მოედნიდან გუნდი და თამაში ჩაშალა. ბუნებრივია, აჭარის გუნდს დამარცხება ჩაეთვალა.

ვერც ლანჩხუთის ვაჟთა გუნდის წარმომადგენელმა ა. ხარაბაძემ შეიკავა თავი და ვანელებთან მატჩის შემდეგ შეეცადა მსაჯის ფიქსირად განსწორებოდა. უფროს კოლეგას ხულიანობაში გადააჭარბა წყალტუბოს გუნდის წევრმა ს. მამისიევილი (თამაშობს ქუთაისის „ლოკომოტივში“) — მან თბილისელებთან დამარცხების შემდეგ მსაჯე იყარა ქაჯრი. მატჩის ქ „ლოკომოტივის“ უფროსი მწვრთნელი ჯ. ბაზაძე სჯიდა. ნამდვილად უპირტივდნენ შემთხვევა, როცა სპორტსმენი (რამისი შენელობა აქვს, რომელი გუნდის ღირსებას იცავდა იგი იმხანად) თავის მწვრთნელს ფიზიკურ შეურაცხყოფას მიჰყენებს.

ასეთი ფაქტები ახალგაზრდულ თამაშებზე არ უნდა ზღებოდეს. ამიტომ ფედერაციის სხდომაზე შეკრულ იმსჯელებს ამ ინციდენტებზე — ზ. მუჟაიას და ა. ხარაბაძეს ვამოცხადებთ სახსტიკი საუკეთესო, ს. მამისიევილი დისკვალიფიცირებულია, თუ არა ჩნით, ამას ამ დღეებში გადაწყვეტს ფედერაცია.



ახე მიმართავენ ძველი ქართველი ერთმანეთს ომში წსავლისას, ასე მიმართავენ ახლაც ჩვენი სამშობლოს მკვიდრნი ქველი ადამიანები. მარჯვენის ძალა განსაზღვრავს სიმბოლო მთელი პიროვნების ძლიერებისა და ღონის გამოსაცდელად სწორედ მარჯვენას უსინჯავდნენ მამულომწილი ერთურთს შორეულ წარსულსა თუ შემდგომ ხანებში.

მე კარგად მახსოვს ჩემი სტუდენტობის წლებში თუ რა რიგ პოპულარული იყო ხელის გადაწვევა, მასსოვს შეჯიბრებების ჩემპიონებიც: უძლეველი ჯუანშერ ჯორხაძე (პედაგოგი, კინო-ფილმ „დინოსტატის მარჯვენაზე“ ზეიად საბასარის როლის შემსრულებელი), ვინც არა თუ „ჩვეულებრივ მოკვდავთ“, არამედ თვით ცირკის ცნობილ ათლეტს, ორმეტრიან დეკანს, ივან ბოგატირიოვს, გადაუწვია მარჯვენა. ეს გოლიათი კი არენაზე ზემბუღოვით ათამაშებდა ხელს და დამფუთიან გირვამბს თუ ას-კილოგრამიან შტანგებს, ეს მისთვის მოთუღა იყო. მერე საგანგებოდ სადგამზე შემორკავდნენ ძროხებსა და ხარებს და გოლიათი პაერში აიტაცებდა ამ ჯოგს. ბოგატირიოვი შემდგომ მოუხმობდა პაერში გასვირების მსურველთა და ამ ციკლობის მსგავსი კაცის ტორები პაერში აქანაგებდა ცირკის ლამის ნახევარ მაყურებელს.

ჯორხაძე, ეს წმინდა ქართული იერსახის, მოსული და ჩასკვნილი ვაჟკაცი, ამ ბიზონის დარ ათლეტთან შედარებით მომცრო ტანი-სა ჩინდა და ბოგატირიოვს შეიკრბების წინ თავდაკრებულ ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, მერე კი, როცა ჯუანშერის ფოლადის მკაბს სძლია მის აქამდე გაულუნავ მკლავს, ცრემლები წარმოედინა თვალთაგან. ესეც უნდა ვთქვათ, რომ მან რაინდობა გამოამჟღავნა და გულმხურვალედ გადაიკონა ქართველი ვაჟკაცი, ვინც იგი პირველად დაამარცხა. მტკიცე და უტყუარი მარჯვენა ქონდათ მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი, მხატვარ თეოდორე ყუბანაიშვილი, რომელიც მსოფლიოში მხოლოდ იმდენსავეს კი გადაუწვევდნენ ხოლმე ხელს, უნივერსიტეტის ერთ-ერთი ჩემპიონი, ისტორიკოსი და ფეხბურთის დიდი მენეჯერი ქართლის სვანიძე, პოეტი ალაზა ხაიაური, საოცრად ძლიერი მარჯვენისა და საოცრად ძლიერი მარცხენის პატრონი ისტორიკოსები გურამ ნემსაძე და მურთაზ ძიძისტარაშვილი, მწერალი დავით ჯაფარიშვილი, ხელის გადაწვევის დიდი მოყვარული და მტკიცე მარჯვენისა გახლდათ ამ ქვეყნიდან ადრე წასული სტუდენის ისტორიკოს გურამ რჩეულიშვილი, მასსოვს რა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ იმდროინდელ ახალგაზრდებს შორის ამ საქმეში გამორჩეულნი.

ყოველივე ეს გამახსენა ყოფილი სპორტსმენის (სამართლის მცოდნე) ვახტანგ მუსხელიანის წერილში, რომელიც მან გამოუგზავნა საქართველოს კრივის ფედერაციას. ამ წერილში ღრმად წყდობით და სიყვარულით არის წარმოჩენილი ხელის გადაწვევა, როგორც სპორტის შესანიშნავი სახეობა. ექვს არ იწვევს, რომ იგი დიდად მარჯვ იქნება ახალგაზრდობისათვის და ადალდვის ამაოდ მიიფყებულ ტრადიციასაც. ასე რომ, აღარაფერი დაგვრჩენია. ვარდა ამ დღის მისაღმებისა. მდლიერებს გრძობით აღვსოვი ვახტანგ მუსხელიანის მიმართ, ვთხოვ ვაზეთ „ლულოს“ რედაქციას გამოაქვეყნოს ეს უთუოდ ყურადსაღები წერილი და მივმართავ ხელის გადაწვევაში ძველ ფალაგებსა თუ ასეთი სახის შექილებს მოყვარულთ, გამოენამაურონ მის ავტორს.

ვიღებ პირობას, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის კომისიის თავმჯდომარე.

აი, ეს წერილიც: „მთელი დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, იდაყვები მაგიდაზე დაეხრებინათ ცარკით მი-

ხაზულ წრეში, ხოლო ხელისგულები მაგრად ჩაეჭიდათ ერთურთისათვის. ერთიცა და მეორეც ცილობდა გადაეძალა და მაგიდაზე დაეწვინა ყვეინადალდველი მკლავი. ირგვლივ ყველის სანადლო დაედო — ასე იწყებს ერნესტ ჰემინგუეი მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა“ აღწერას იმისა, თუ როგორ ეჯიბრება მოხუცი მეთევზე მკლავის ძალაში ერთ ჯანლონიან ზანგს, ყველაზე ღონიერ კაცს მთელ ნავსადგურში. საგულისხმოა, რომ დიდი მწერალი სწორედაც მკლავის გადაწვევის, ორთაბრძოლის, ამ უძლეულის და ურთულესი სახეობის საშუალებით ცილობს გადმოგვცეს თავისი გმირის სულიერი და ფიზიკური ძალები სიდიადე. რაღა თქმა უნდა, ჰემინგუეის შემთხვევით არ მიუშარათავს სპორტის ამ სახეობისათვის. ხელის გადაწვევა მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ეს არის ორთაბრძოლის ერთ-ერთი უძნელოესი და ურთულესი, ფრიალ ვაჟკაცი სახეობა, რომელსაც თავი-

მარჯვენა გიკურთხეთ!

სი მტკიცედ დადგენილი და ჩამოყალიბებული წესები გააჩნია. ეს როლია სეირ-თამაში და გართობა, როგორც ზოგ გაუთვითცნობიერებულ ადამიანს ჰგონია. მკლავის გადაწვევას საზღვარგარეთ მსოფლიოში მოყვარული თუ პიროვნისა ათლეტი მისდევს. არსებობს მკლავის გადაწვევის პროფესიული მსოფლიო ფედერაცია, რომელიც ასზე მეტ ქვეყანას აერთიანებს, აწვობს შეჯიბრებებს, ეწვევა სპორტს ამ სახეობის პროპაგანდას. სისტემატურად ტარდება ნაციონალური ჩემპიონატები, საუკეთესონი ყოველ წელს ეარკინებული ერთმანეთს. მკლავის სპორტული გადაწვევის თანამედროვე სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია. ამ ქვეყანას სრულიად თავისუფლად შესაძლოა სპორტის ამ სახეობის მექა ვულვოთ. შეერთებული შტატების ჩემპიონი მკლავის გადაწვევაში ამ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და სახელოვან ადამიანად ითვლება. ისეც უნდა ითქვას, რომ არც ერთ სახეობაში წაგება ისე არ ხდება მორკინალის ვაჟკაცი თანამოყვარებობასა და მის მამაკაცი რაინდობას, როგორც დამარცხება ხელის გადაწვევაში, რამეთუ როგორც უკეთესი, სწორედ მკლავის (როგორც მარჯვენის ისე მარცხენის) ღონე იყო, არის და იქნება ვაჟკაცი ძალმოსილების სიმბოლო. ამიტომაც არის, რომ ამ ასპარეზზე დამარცხებას ძნელად ეგუება სპორტისაგან შორს მდგარი მამაკაციც. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სპორტის ამ მასობრივ სახეობაში პროფესიონალია შორის წლების განმავლობაში იყო მსოფლიო ჩემპიონი კულტურისში, პერაკლეს როლის დაუვიწყარი შემსრულებელი სტეი რიკი. ამ რამდენიმე წლის წინათ ქვეყნიერების ყველა კუთხის ევრანები მოიარა ამერიკულმა ფილმმა „მთელის ძალით“, რომელიც სწორედ სპორტის ამ სახეობას მიეძღვნა. იგი ისე მაღალ მხატვრულად არის გადაღებული, რომ შეუძლებელია მისი გულგრილად ყურება. მთავარი როლს ასრულებს ცნობილი ამერიკელი მსახიობი და ათლეტი, სილვესტერ სტალონი. უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის ორგანოები სისტემატურად აშუქებენ, აღწერენ და გადასცემენ შეჯიბრებებს მკლავის გადაწვევაში და აქროვან ხარკს მიუზიკალურ მძლეობაზე ჩემპიონებს. ხელის გადაწვევა უცხოეთში ისეთივე პოპულარული და საყვარელი ორთაბრძოლის სახეობაა, როგორც კალაბურთი, კრივი, ბე-

ისბოლი, ძალღების და ცხენების როლი, იგი არაფრით ნაკლები არ ვახლოვან სპორტს. რთე ნახებზე ზე, როგორც კარს ზანდის უროს ბირთვის ტყორცია, თუ ჰილობა, ხელს გადაწვევაზე აქვს მსოფლიოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი წესები.

სპორტის მოყვარულთა საზოგადოებაში ამ თემაზე ჩამოვარდნილი საუბრისას ერთმა იქ დამსწრემ შენიშნა, ძალიან მომწონს მკლავის გადაწვევა; ოღონდ ეგ არის, ცალ ხელს ანეითარებს. ეს რა თქმა უნდა, აგრა, თუ საქმე ეხება უზარალო მოყვარულს, პროფესიონალებში ხელის გადაწვევა კი, რომლის დროსაც მორკინალს მეორე ხელი იდაყვის საბჯენიდან აუღებლად მძლეობად აქვს ჩაქოლებული საგანგებო სადგამზე, მოითხოვს მეორე მკლავის ძალასაც, ამით კი ამ მკლავის გარდა ხელის გადაწვევის პროცესში მთელი ტანიც მონაწილეობს. ამ დროს ხდება ფიზიკური და სულიერი ძალების სრუ-

ლი მობილიზება, რადგან ორთაბრძოლა ხშირად რამდენიმე საათს გრძელდება. როცა ერთმანეთის ძალის გამოცდა სურთ, სწორედ ხელის გადაწვევას მიმართავენ, ამიტომაც არც არის გასაკვირი, რომ საქართველოში ადრე ორთაბრძოლის ეს სახეობა ძალზე გავრცელებული და პოპულარული ყოფილიყო, თუმცა იგი არ გასცილებია მოყვარულობის ფარგლებს. მთელ თბილისში ხომ ცნობილი იყვნენ მძლეობის მარჯვენისა თუ მარცხენის მქონე ფალაგები.

ამჟამად სპორტის ეს სახეობა ერთგვარად მივიწყებულია, მაგრამ ხალხში მაინც მთლად არ გამქრალა. ამ საქმის ენთუზიასტებმა გადაწყვიტეს ავლორძინით მკლავის გადაწვევა და სპორტის სრულფასოვან და ღირსეულ სახეობად ვაქციონ იგი. აქვე დაესაქმნდნენ, რომ მას არ სჭირდება განსაკუთრებული ინვენტარი, ნაგებობები, წესთა და ილეთთა რთული სისტემა.

ანგარიში ჩასათვლილია ისიც, რომ ასეთ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველი ასაკის ადამიანს. მსოფლიოს ჩემპიონები ხშირად ოთხ ათეულ თუ მეტ წელსაც ყოფილან გადაცილებულნი. ერთიც უნდა ვთქვათ, წარმოიდგინეთ რა ამაყად ეღერს: ეს არის კაცი, რომელიც მთელ საქართველოში უბადლოა ხელის გადაწვევაში, ანდა ეს არის კაცი, ვისაც მთელ საქართველოში ყველაზე ძლიერი მკლავი (მარჯვენა თუ მარცხენა) აქვს.

განვიგობოთ ჰემინგუეის ციტატები: „ხელებზე მარღებები დაპრობობდა, ერთმანეთს განუწყვეტლივ შემზერდნენ თვალეებში, ხელსა და იდაყვს შესჩერებოდნენ, მთელი ოდის განმავლობაში ხან ერთს ჰქონდა უპირატესობა, ხან მეორეს. განთიადისას მოხუცმა უცვიტო მთელი ძალა მოიკრიბა, ზანგის ხელი გადახარა და თანდათანობით მაგიდას გაუსწორა. კვირა დილით დაწყებული ორთაბრძოლა მხოლოდ ორშაბათ დილით გასრულდა.“

ჩვენი წერილის ბოლოს ვიტყვოდით: ამ ძალისმიერი, სპორტის მეტად ვაჟკაცი სახეობის საქართველოში ასაღორძინებლად ამისთვის ვეროვანი სტატუსის მისანიჭებლად ამ საქმის ენთუზიასტები არაფერს დავიწყებთ. ვთხოვთ ყველას დახმარებას და წინასწარ ვუხდით მადლობას მათ, ვინც ამ საქმით, რაინდულ და კეთილშობილურ საქმეში მხარში ამოვიდგება.

მოკლად ახალი სპორტული ზაზაბი ვითარობის სახეიმი დღეებში ქალაქში მწყობრში ჩადგასამი მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი, კალათბურთისა და მინიფეხბურთის მოედნები. გამართა ასპარეზობანი კალათბურთში, ფრენბურთსა და მინიფეხბურთში.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ კომკავშირის ქალაქკომისა და სპორტკომიტეტის ფასიანი საჩუქრებით, სიგელებით. ზ. პაპიძემ, ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე. თამაზოზან კოლმეურნეები ჩონხატარის რაიონულ პირველობაზე. ფეხბურთში 14 გუნდი

იბრძოდა. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ ჩაისუბნის და ჩონხატარის კოლმეურნეობების კოლექტივები. შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა. დეზულები თანახმად დაინშნა განმეორებითი მატჩი, რომელიც ჩონხატარის კოლმეურნეობის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა 3:1 და რაიონის ჩემპიონის საპატიო სახელიც მათ მოიპოვეს. ხოლო მესამე ადგილი დაბლაციის კოლმეურნეობის გუნდს ერგო. დავით ზარბაზნიძე.

საბავშვო სიგნალი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სპორტსახალისეთა კოლეჯის მორიგი სხდომა. კოლეჯიამ იმსჯელა რესპუბლიკაში ხელშეწყობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ზოგადი ღონისძიება შეესაბამა. სპორტის ამ სახეობაში იქამდე მივიდა საქმე, რომ 1988 წელს ქალთა გუნდი გაერთიანდა პირველ ლიგას, ხოლო ვაჟთა ხელშეწყობის წესი უმაღლესი ლიგა დატოვა. კრწხის მინერალური წყლის დაახლოებით მწვრთნელთა კადრების დენადობა და ხელმძღვანელ მუშაობა სწორი ცვა. მაგალითად, პროფკავშირთა სპორტსახალისეთა ხელშეწყობის შტოლაში ბოლო მ წელიწადში გამოცვალა სამი დირექტორი, თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სკოლაში კი აქამდე გუნდს დღეს სათავეში უდგას რიგით მეექვსე უფროსი მწვრთნელი. კოლეჯიან ხაზგასმით ითქვა, რომ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფისთვის ზრუნვას, ხშირად ხელმძღვანელთა შეცვლას ამჟობინებენ, რაც ცხადია, ვერც კვლის ვითარებას. რესპუბლიკაში სადღესიად გახსნილია ხელშეწყობის

200 ჯგუფი და მუშაობს 130 მწვრთნელი. მიუხედავად ამისა, ნაკრებ გუნდებში არ მოდის დირექტორული შევსება, რაც ფუნქციონირება და მწვრთნელთა უპასუხისმგებლობაზე მიგვიანებს. შესაბამისი შემდგომი სპორტული საზოგადოებები და უწყებები მკაცრად არ ითხოვენ თავიანთი მუშაობისაგან გაწეული ხარჯების უკუგებას. სპორტსახალისეთა სპორტული თამაშების განყოფილება და მთავარი მწვრთნელი ვ. მურადოვი შექმნილ სიტუაციაში ავლენს შემრიგებლურ და მოკიდებულ მდგომარეობას, არ არის ჭრფიანი კონტრაქტი. კოლეჯიამ აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ქაბულთა მერვე საკავშირო თამაშებში წარუმატებლად გამოვიდნენ რესპუბლიკის ნიშნის მქონე სპორტის ამ სახეობაშიც არ არის შექმნილი სპორტსმენთა მომზადების მწყობრი სისტემა, მეტწილად ჩამორჩენას ამართლებენ ობიექტური მიზეზებით. მაშინ, როცა საქმე გვაქვს ორგანიზაციულ ხელშეწყობის საკითხთან და კონტრაქტობასთან, მომთხოვნეობის ნაცვლად ხუფვეს ძმობიჭური დამოკიდებულება, ამავე დროს არ არის ერთსულოვნება თვით სპორტის ამ სახეობის ხელმძღვანელ მუშაობაში.

რის, თავი იჩინა ყველაფრის სხვაზე გადაბრუნების ტენდენციამ, ასეთ ვითარებაში უკვლად შეუწყნარებლად ჩაითვალია თვით სპორტსახალისეთა შესაბამისი განყოფილების დამოკიდებულება პრობლემებისადმი. კოლეჯიამ სწორად ცნო „ლელოს“ კრიტიკულ წერილში „მანაშვილს ჰგავდა“ მოყვანილი ფაქტები, სადაც, როგორც ნიშნის ნიშნაში შექმნილი საერთო მდგომარეობის ანარქიული მხილებული იყო IV რესპუბლიკური ახალგაზრდულ თამაშებში თავჩინილი ნაკლოვანებები.

ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ჩამოყალიბებულია მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების კონკრეტული გზები. კოლეჯიამ სამუშაოდან გაათავისუფლა სპორტსახალისეთა ნიშნის ობიექტის განყოფილების უფროსი ტ. ფიცხიშვილი და მიზანშეწონილად ჩაითვალია მისი გამოყენება სხვა თანამდებობაზე.

კოლეჯის ამ სხდომაზე მკაცრად იმსჯელეს სპორტსმენების კვებაში დაშვებულ უხეშ დარღვევებზე. გამოიკვია, რომ კვების ტაბლონების აღრიცხვასა და გაცემაში არ იყო სათანადო კონტროლი, ხელმოწერად იქმნებოდა თვითნებობის ხელსაყრელი პირობები. იყო ტაბლონების არასწორად და სპორტსმენებზე მისი დაგვიანებით გაცემის შემთხვევები. უპასუხისმგებლობისა და თვითნებობაში მხი-

ლებულ მუშაობა მთელ ჯგუფს დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელი. სახელმწიფოს დაუბრუნდა 1988 წლის პირველ ნახევარში უკანონოდ გაცემული 4150 მანეთი, დაფარულია აგრეთვე 452 მანეთი დანაკლისი. იმის გამო, რომ არღვევდა ტაბლონების გაცემის წესს და შემოწმებისას აღმოჩნდა 136 მანეთი დანაკლისი, სპორტსმენთა განყოფილების ინსტრუქტორ-ორგანიზატორი ო. ჯავახიშვილი, რომელიც მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მოვალეობას ასრულებდა, განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

რესპუბლიკაში მთლიანად სპორტისა და ცალკეულ სახეობების განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ადგილებზე სრულად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობები (ბაზები, კადრები, ტრადიციები). ამ საქმეში მთავარი საკითხია სპორტის სახეობების ობიექტური დისლოკაცია, რაც გამოიწვევს პარალელურად საქართველოს მუშაობაში, გაუმჯობესებას, საქმიანობის ხარისხს, აამაღლებს მწვრთნელთა პასუხისმგებლობას. ამ საქმის მოხარულია დაეხმოს საქართველოს სპორტსახალისეთა საუწყებთაშორისო საქოორდინაციო კომისია, რომლის ანგარიში განიხილა კოლეჯის სხდომაში. მიმდინარე ეტაპზე ამ მიმართებით

გაწეული მუშაობა არასაკმარისად ჩაითვალია. მიღებულ დადგენილებაში უკრადღებდა გამაზიანებელია მდგომარეობის მოწესრიგების კონკრეტულ საკითხებზე. როგორც ცნობილია, ქაბულთა მბერს, თბილისში გაიმართა საქართველოს სპორტსახალისეთა კოლეჯის განვითარებული სხდომა, რომელმაც შეაჯამა ქაბულთა II საკავშირო სპორტული თამაშების შედეგები. სხდომაზე გამოქმნილი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების პრაქტიკული განხორციელებისათვის კოლეჯიამ განიხილა დაამტკიცა საგანგებო ღონისძიებათა გეგმა. იმასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ წელს I ლიგაში დაიბრუნა ადგილი, კოლეჯიამ მიიღო დადგენილება ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელისა და სპორტსმენების სპორტსახალისეთა საბატი სივრცით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების შესახებ. გუნდის უფროსი მწვრთნელს რ. ჯორჯაშვილს მიენიჭა საკავშირო გუნდის სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

კოლეჯიამ მოიხსინა ინფორმაცია რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გარდაქმნის საკითხებზე გაწეული „ლელოს“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. კოლეჯის სხდომაზე დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაობები და განიხილეს სხვა საკითხები.

საბავშვო სიგნალი

რატომ არ არის კონტროლი?

წერისი კარგია, მაგრამ თუ იგი მრავლებლობაში? თბილისის 75-ე სკოლაში ფეხს ილადა ვერაძის შედეგად, ეს მისასაღებელია, ჩინებულია, თუმცა, სკოლას სხვა, უფრო მთავარი წესრიგიც მოეთხოვება. სასწავლო მუშაობა გვაქვს მხედველობაში. ამ სკოლას ფიზკულტურის დარბაზი არ აქვს, ეს პრობლემა დიდი ხანია გადაუჭრელი რჩება, მაგრამ გამოსავალი მანც გამოიჩინა — იქვე მდებარე კორფის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლა ორ საათამდე უთმობს დაბაზს 75-ე სკოლას ფიზკულტურის გაკვეთილების ჩასატარებლად. მისამდე გაკვეთილი იდგა. სკოლის ჩინებულ ღია სპორტულ მოედანზე რამდენიმე გოგონა და მასწავლებელი რაიონ ვეტუსკინა იდგნენ. ისინი X კლასის მოსწავლეები იყვნენ. წესით მაღალ კლასებში ბიჭებს და გოგონებს ცალკე უტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები. დარბაზში ბიჭებს უნდა ჰქონოდათ მეცადინეობა, მაგრამ იქ გოგონებზეც იყვნენ და ფრენბურთის თამაშობდნენ ბიჭებთან ერთად. რამდენიმე მოსწავლე გაკვეთილზე 18 წუთის დაგვიანებით შემოვიდა. ნაილი გოგონებისა, როგორც ვთქვით, ეზოში მეცადინეობდა.

რატომ გაუავით ჯგუფი ასე უცნაურად? ვეკითხებით მასწავლებელს. თავს ისევ და ისევ იმით იმართლებენ, რომ საკუთარი სპორტული ბაზა არა აქვთ. რა შუაშია ბაზის მომწოდება? რაც არის იმას როგორ იყენებენ, რატომ თვითნებობენ, რატომ არ ვაგს გაკვეთილი გაკვეთილს, რატომ ირღვევა პროგრამა, გაკვეთილის სიმკვრივე, პრონომეტრაჟი, რატომ ამეცადინებდა ეზოში იმ რამდენიმე გოგონას მასწავლებელი ხელყუმბარის ტყორცნაში, როცა მძლეობს სხეობებში მეცადინეობა ოქტომბერში დამთავრდა? ბოლოს და ბოლოს სპორტული ბაზის მიწევა ის, რომ ეზოში „გაკვეთილზე“ მდგარ მასწავლებელს სპორტული ფორმა არ აქვს?

როგორც ჩანს, სკოლაში მოიხსნება ფიზკულტურის გაკვეთილისა და კონტროლი. რატომ ურიგდება ასეთ ვითარებას სკოლის დირექტორს? მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ მუშაობაზე და ქანმრთელობაზე ნომ სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი აკებს პასუხს.

ამ სკოლას საბავშვო სპორტული ტრადიციები აქვს, ეს კარგია, მაგრამ ფიზკულტურა, გაკვეთილები?

უფა-ს თასზე

28 ნოემბერს გაიმართა უფა-ს თასის მერვედღიანი პირველი მატჩები.

ერთი დღით ადრე ითამაშეს პოლანდის „გრონიგენისა“ და გფრის „შტუტგარტის“ ფეხბურთელებმა. ანგარიში 3:1 გაიმარჯვა „შტუტგარტმა“.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო“ (დრეზდენი) — „რომა“ (იტალია) 2:0, „ვიქტორია“ (ბუქარესტი) — „ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი) 1:0, „ბორდო“ (საფრანგეთი) — „ნაპოლი“ (იტალია) 0:1, „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „კიოლინი“ (გფრ) 1:0, „პარტი“ (შოტლანდია) — „ველეთი“ (იუგოსლავია) 3:0, „ლიეჟი“ (ბელგია) — „იუვენტუსი“ (იტალია) 0:1, „ბაიერნი“ (გფრ) — „ინტერი“ (იტალია) 0:2.

საერთაშორისო საფეხბურთო პრესა უფა-ს მერვედღიანულ შეხვედრათა შედეგებს იტალიელთა მძლავრ შტურმს უწოდებს: ამ ქვეყნის ოთხივე გუნდმა სტუმრად ითამაშა და სამმა გამარჯვება მოიპოვა. განსაუთრებით საყურადღებოა იტალიის ჩემპიონატის ოცდევნილი ფეხბურთელთა შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი, ეს ბურთი თამაშის მე-15 წუთზე საკუთარ კარში გაიტანა მიუნხენმა.

სსრ კავშირის ჩემპიონატის წილისყრა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ენეგეში მოაწყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა, თვით შეკრება კი, როგორც ცნობილია, 1989 წლის 16 თებერვლიდან 2 მარტამდე გაიმართება საულის არაბეთში.

წილისყრის შედეგები ასეთია: „ა“ ჯგუფი, ქ. ერ-რიადი: საულის არაბეთი, ნიგერია, ჩეხოსლოვაკია, პორტუგალია; „ბ“ ჯგუფი, ქ. დამამი. სსრ კავშირი, კოსტა-რიკა, კოლუმბია, აზიისა და ოკეანის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული; „ც“ ჯგუფი, ქ. ჯილი. ბრაზილია, გრ, მალი, აშშ. „დ“ ჯგუფი, ქ. ეტ-ტაიფი: ნორვეგია, ურავი, არგენტინა, ესპანეთი.

მატი კუვიტში

ქუვიტში, ეროვნულ გუნდთან ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა. დაძაბული თამაში დამარცხდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0, გოლი 22-ე წუთზე გაიტანა მიხაილიჩეკომ.

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემაღ-

დაზარალებულთა დასახმარებლად

ორმა ცნობილმა საფეხბურთო კლუბმა „ეინდოვენი“ (პოლანდია) და „რესინგ კლუბმა“ (არგენტინა) მოილაპარაკეს, რომ 1989 წლის 15 იანვარს საქველმოქმედო მატჩი გამართონ ერთმანეთს შოლონდის ქალაქ ვინდოვანში.

სო პოლანდიელი ფეხბურთელი ამჟამად იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „მილანში“ თამაშობს. ინგლისის საფეხბურთო ქურნალის სხვა ჯილდოებიც პოლანდიელს ხვდათ წილად: წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელეს ევროპის ჩემპიონთა ხელმძღვანელი რინუს მიხელისი, ხოლო საუკეთესო გუნდად — პოლანდიის ნაკრები.

გამოვლინდა საუკეთესო ფეხბურთელი ათეული, რომლის შემადგენლობაში ორი საბჭოთა ფეხბურთელი შედის: ალექსეი მიხაილიჩეკომ მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო ალექსანდრე ზავაროვა — მერვე.

საინტერესოა, რომ არგენტინელი დიეგო მარადონა „უორლდ სოკერს“ სიაში შეექვსა.

მწვრთნელთა შორის მეხუთე ადგილზე გავიდა საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელი ვალერი ლობანოვსკი. მისი გუნდი კი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა, ევროპის რეფერენდუმის შედეგად მეხუთე ადგილზე გავიდა.

„დენაბი“ — მაროკოში

გური საერთაშორისო მატჩი გამართა ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებთან. თამაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემაღ-

პოლანდიელი — ლიდერთა შორის

ინგლისურმა საფეხბურთო ქურნალმა „უორლდ სოკერმა“ გამოკითხვის შედეგად დაასახელა 1988 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები, მწვრთნელები, გუნდები.

„უორლდ სოკერს“ აზრით მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია პოლანდიელი მარკო ვან ბასტენი. მომდევნო ადგილებზეც მისი თანამემამულეები გავიდნენ — რუდოლფ გულტი და ფრანკ რიიკარდი. მსოფლიოელი აქ არაფერია: წლე-

არა მარტო სიმრავლით

თუ გადავხედავთ სამაჟლო კრების განვითარებას, განსაკუთრებით კი ომის შემდგომ პერიოდში, დავინახავთ, რომ ამ სახეობას ყველაზე მყარად საზოგადოება „შრომით რეზერვებში“ აქვს მოკიდებული ფეხი. ამის საბოლოო საბოლოო გამოდგებოდა ამჟამად თბილისის ამავ სპორტსახალისეთა სპორტის სახელობეში მიმდინარე „შრომითი რე-

არა მარტო სიმრავლით

ვანდელ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე პოლანდიის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა, მაშინ ჩემპიონთა მთავარი მოქმედი პირი სწორედ ვან ბასტენი, გულტი და რიიკარდი იყვნენ. ამასთან, მ. ვან ბასტენმა გადაწყვეტი გოლები გაიტანა ამ ტურნირში: 3 ინგლისელთა კარში და მთავარი გოლები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მატჩებში გაიტანა.

მსოფლიოს ეს სამივე საუკეთესო

არა მარტო სიმრავლით

ანთი სპეციალისტების თუ ქალაქის ლიდერების დაცა.

თბილისის ტურნირში გამარჯვებულები კვირა დღით გამოვლინდებიან. ჯერ კი რინგზე წინასწარი შეხვედრებია და ფინალში გასასვლელად ჩვენს ქვეყნის იმ ქალაქების წარმომადგენლები იბრძვიან, რომელთაც ადვილად კრიგის „რუკაზე“ კი არა, ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ სახელმძღვანელოშიც ვერ იპოვი. ყველაზე მეტი მონაწილე კი ყაზახეთსა და ციმბირს ჰყავთ, რომლებიც ასპარეზობას ტონს აძლევენ.

რაც შეეხება რინგის მასპინძ-

არა მარტო სიმრავლით

ლებს, მათგან პირველ დღეს თავი ისახელეს, ოსტატობის კანდიდატმა 48 კგ წონის მოკრივემ თ. წარილაშვილმა, გ. ხილაშვილმა, ა. ბაგაიევა (60 კგ) და გ. დაუშვილმა, რომლებმაც შესაბამისად სძლიეს ვიტებსკელ ვ. ელოვსკის, თანაქაჟელ ი. ფაროიანს, მოსკოველ მ. ტუპიციანსა და მ. კუდინს.

კრიგის მოყვარულთა გურჩეულ, დავსწრის ქაბუტ მოკრივეთა შეხვედრებს, ისინი საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გახდებიან.

ამ სკოლას საბავშვო სპორტული ტრადიციები აქვს, ეს კარგია, მაგრამ ფიზკულტურა, გაკვეთილები?

თუ გადავხედავთ სამაჟლო კრების განვითარებას, განსაკუთრებით კი ომის შემდგომ პერიოდში, დავინახავთ, რომ ამ სახეობას ყველაზე მყარად საზოგადოება „შრომით რეზერვებში“ აქვს მოკიდებული ფეხი. ამის საბოლოო საბოლოო გამოდგებოდა ამჟამად თბილისის ამავ სპორტსახალისეთა სპორტის სახელობეში მიმდინარე „შრომითი რე-

ვანდელ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა, მაშინ ჩემპიონთა მთავარი მოქმედი პირი სწორედ ვან ბასტენი, გულტი და რიიკარდი იყვნენ. ამასთან, მ. ვან ბასტენმა გადაწყვეტი გოლები გაიტანა ამ ტურნირში: 3 ინგლისელთა კარში და მთავარი გოლები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მატჩებში გაიტანა.

მსოფლიოს ეს სამივე საუკეთესო

ანთი სპეციალისტების თუ ქალაქის ლიდერების დაცა.

თბილისის ტურნირში გამარჯვებულები კვირა დღით გამოვლინდებიან. ჯერ კი რინგზე წინასწარი შეხვედრებია და ფინალში გასასვლელად ჩვენს ქვეყნის იმ ქალაქების წარმომადგენლები იბრძვიან, რომელთაც ადვილად კრიგის „რუკაზე“ კი არა, ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ სახელმძღვანელოშიც ვერ იპოვი. ყველაზე მეტი მონაწილე კი ყაზახეთსა და ციმბირს ჰყავთ, რომლებიც ასპარეზობას ტონს აძლევენ.

რაც შეეხება რინგის მასპინძ-

ლებს, მათგან პირველ დღეს თავი ისახელეს, ოსტატობის კანდიდატმა 48 კგ წონის მოკრივემ თ. წარილაშვილმა, გ. ხილაშვილმა, ა. ბაგაიევა (60 კგ) და გ. დაუშვილმა, რომლებმაც შესაბამისად სძლიეს ვიტებსკელ ვ. ელოვსკის, თანაქაჟელ ი. ფაროიანს, მოსკოველ მ. ტუპიციანსა და მ. კუდინს.

კრიგის მოყვარულთა გურჩეულ, დავსწრის ქაბუტ მოკრივეთა შეხვედრებს, ისინი საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გახდებიან.

